საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრი
MINISTER OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030116196449718

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7436 08 / თებერვალი / 2018 წ.

სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობას

გაცნობებთ, რომ ქვეყანაში 2013-2014 წლებში წითელას ეპიდაფეთქების შეჩერების შემდეგ, 2017 წლის აგვისტოდან კვლავ დაიწყო წითელას შემთხვევათა მატება ლოკალური ეპიდაფეთქებების სახით. კერძოდ, 2017 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა წითელას 94 შემთხვევა, ხოლო 2018 წლის მხოლოდ იანვრის თვეში 116 ახალი შემთხვევა, რომელთა რიცხვი, ქმედითი შემაკავებელი ღონისძიებების გატარების გარეშე, შესაძლოა სწრაფი ტემპებით გაიზარდოს და გავრცელდეს მთელ ქვეყანაში. აქვე აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა 30% მოდის 20 წლის ზევით ასაკობრივ ჯგუფში, ასევე, მაღალია 1 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წილი (შეადგენს 21%), რაც თანდაყოლილი იმუნიტეტის არქონაზე მიუთითებს.

წითელას შემდგომი გავრცელების შეკავების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილების მე-2 დანართის („იმუნიზაცია") მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდა „წითელას და წითურას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის წარმოების წესი“, რომლითაც არაგეგმურ აცრას დაექვემდებარა 40 წლის ჩათვლით ყველა ის პირი, რომელსაც ან არ ჩატარებია აცრა წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინით, ან აცრის სტატუსი უცნობია, ასევე, გათვალისწინებულია სამედიცინო პერსონალის ერთჯერადი ვაქცინაცია.

2. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველა მუნიციპალურ/საქალაქო სამსახურს დაეგზავნა წერილობითი მოთხოვნა, ერთი თვის ვადაში განახორციელონ მათ სამოქმედო არეალში იმუნიზაციის განმახორციელებელი ყველა სამედიცინო დაწესებულების მონიტორინგი „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რათა წითელაზე და სხვა ანტიგენებზე არავაქცინირებული ან/და არასრულად ვაქცინირებული ბავშვების გამოვლენის მიზნით შეისწავლონ 15 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის იმუნიზაციის სტატუსი, სამედიცინო დაწესებულებაში იმუნიზაციაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად შეადგინონ აღნიშნული კონტინგენტის სახელობითი სია და აცრების ინდივიდუალური სქემა თითოეული ბენეფიციარისთვის ვაქცინაციის სრული კურსის დასრულების მიზნით.

ზემოაღნიშნულ აქტივობებთან ერთად, მიზანშეწონილია, განხორციელდეს სამედიცინო პერსონალის წითელას სტატუსის აღრიცხვა და წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინით სერონეგატიური, აუცრელი ან იმ პირების ვაქცინაცია, ვინც არ იცის თავისი აცრის სტატუსი.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამედიცინო პერსონალი არის დაინფიცირების და შემდეგ დაავადების გავრცელების განსაკუთრებული რისკის ქვეშ, რაც ზოგად პოპულაციასთან შედარებით 2-19-ჯერ მაღალია. 2013-14 წლის წითელას აფეთქების დროს სამედიცინო პერსონალში დაფიქსირდა 209, ხოლო სამედიცინო და საექთნო სასწავლებლის სტუდენტებში დაავადების 41 შემთხვევა. სამედიცინო დაწესებულებასთან ასოცირებული წითელას 123 შემთხვევა დაკავშირებული აღმოჩნდა 30 კლასტერთან და დამატებით 53 შემთხვევასთან, სამედიცინო დაწესებულების გარეთ. 2017 წლის აგვისტო-ოქტომბერში გურიაში

მომხდარი წითელას აფეთქებისას, სამედიცინო დაწესებულებამ დაავადების გავრცელებაში მთავარი როლი ითამაშა. საერთო ჯამში, 16 შემთხვევიდან 13 შემთხვევის დაინფიცირება მოხდა სამედიცინო დაწესებულებაში, სამი შემთხვევა გამოვლინდა სამედიცინო პერსონალში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული, უზრუნველყოთ თქვენდამი დაქვემდებარებული დაწესებულების სამედიცინო პერსონალის წითელას სტატუსის აღრიცხვა და სერონეგატიურ, აუცრელ და აცრის სტატუსის არმცოდნე პირებს მისცეთ რეკომენდაცია წითელა - წითურა - ყბაყურას კომპონენტებიანი კომბინირებული წწყ ვაქცინით ერთჯერადი ვაქცინაციის შესახებ, რაც მიმდინარე ეპიდაფეთქების ფარგლებში უფასოდ მიეწოდება შესაბამის კონტინგენტს.

პატივისცემით,

მინისტრი



დავით სერგეენკო